# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

21

დამატების № 30. კვირა 3 მარტი 1902 წ. გაზეთის № 1741.


## მიეჩმატკბილა გოგონას

**I**

„კვირა ცხოველო და ცხოველო,
შენ სალოცავად და მოველო!
შე დალოცვილო და საყდარო?
გაბია და ორი კარები;
შიგ შადიან-გამოდიან და
თავდახურული და ქალები!...“

მიიმღეროდნენ მხარი-მხარ გადაჭდობილი სოფელ შვინდიანის ახალგაზდა ბიჭები. ამ ბიჭებს ყველას სუფთად და კოხტად ეცვა, მაგრამ ჩაცმა-დახურვით და შეხედულობით ძალუმაანთ ონისე ირჩეოდა იმათში. მაღალ მკერდს წითელი გულისპირი უმშვენებდა; ბეჭები ერთი მხარი გამოუვიდოდა, თითბრის რგოლებიანი საცვეთები მჭიდროდ შემოჰკროდნენ მის სვეტებივით ჩამოსხმულ წვივებს. ძარღვიანი ხელი რომ გადმოედვა ამხანაგისათვის, ვეფხის ტოტი გეგონებოდათ. პირხმელი ბიჭი იყო, წვერულვაშ ახლად აშლილი. თავზე გრძელ ბეწვიანი ქუდი ეხურა წინ შეკრეჭილი. დამწყობი სიმღერისა მეღორიანთ ქიჭიკა იყო, რომლის ხმა ზარის წკრიალივით ეფინებოდა აბიბინებულ არე-მარეს.

ამ ტალიკ ბიჭებს უკან პატარა ბიჭუნ ების ბრბო მოსდევდა სახრეებით, ხელჯოხებით, ჩომბახ-კეტებით ხელში. დიდი აღელვება და აღტაცება ეტყობოდათ ამათ: ხმა-მაღლა უბნობდნენ, ერთმანერთს ასწრობდნენ, ურბენდნენ, ეკამათებოდნენ; ხან მომღერლებს წაუვლიდნენ წინ და ფეხებში ედებოდნენ.

— ბიჭო, მე თითონ იქ ვიყავი და ვნახე, როგორც იყო ეგ ამბავი: რომ დასწვდა საპალნით სავსე ურემს ღერძში, ქარი გაუტარა ურმის თვალს, აალიმცა.



**მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოზი ალექსანდრე.**

(შენიშვნა იხ გაზ. „ცნობის ფურცელში“)

— ეგ რა არის, ბიჭო! ერთხელ ალოსა ვხნავდით; ონისემ უღელი გაიდო მკლავებზე, უღლის ერთ თავზე ჩვენებიანთ ალექსა ჩამოეკიდა, მეორეზე ისემიანთ თომა და სამოცი ნაბიჯი გაატარა.

— ბიჭებო, ბიჭებო! ყეენობას რომ მაგან ფაშაანთ ჯუნა დასცა, ძლივს-ღა წამოდგა ი დევივით ვაჟკაცი.

— ვნახე! მოგვერდი უგდო და ისე ოხრულად გადმოაგდო, წარბი გაუხეთქა.

— მაგან თუ მოგვერდზე მოიგდო, კამეჩს გადმოიტანს; ძაან ღონე აქვს მკლავში.

— ბიჭებო! დღეს თითქო თავის ქეიფზე არ არის ონისე, ჩაფიქრებული ჩანს.

— ძალიან მოჭიდავეს ამბობენ ი ქართლელ ბიჭს და ალბათ იმან დაალონა.

— ასლან-ბატონს დაუბარებია ი ბიჭი; თურმე დაჰპირდა, ერთ კამეჩს გაჩუქებ, თუ ონისეს გალახავო.

— ჩვენი ბატონისთვის უთქვამს: დურმიშხან! ისეთს ბიჭს დავიბარებ, დევს ბეჭს მოსტეხსო; შენი ონოფრე პირის ქარად არ ეყოფაო.

**II**

გახდნენ ხევს, შეუდგნენ აღმართს. ფერდობს ცხვრის ფარასავით შეჰფენოდა მლოცავი. ზევით ვაკე რამ ადგილი ჩანდა აქა-იქ ხეებით დაჩრდილული. ეს ადგილი ხალხით იყო გაჭედილი. წითელ-ყვითლით მორთული ქალ-ყრმა, ჭრელი ფარდაგებით გადახურული ჩარდახები აათასფერებდნენ ისეც აყვავებულ მიდამოს.

ამ სერზე, ზედ შუა ადგილას, იყო კვირაცხოველი, რომელიც დიდ ძალ ხალხს იზიდავდა გარშემო სოფლებიდან. მაგრამ ი დალოცვილი საყდარი კი არსადა ჩანდა ორკარებიანი; მხოლოდ ყორე რამ იყო ახავსებული ქვებისაგან გაკეთებული, მაყვლის ჯაგებით და ძეძვნარით გარმოდებული. ყორიდან გაოცებული ჯოჯოები იმზირებოდნენ, ქვებში დამფრთხალი ხვლიკები დასლიკინებდნენ. შუაზე ესვენა ხავს მოკიდებულივე ფიქალის ნაჭერი, რომელზედაც კაცის სახე იყო ამოჭრილი, მთელი სახე კი არა, მარტო ცალი თვალი ცხვირის ნახევარი და დასწვრივ ცხვირ ტუჩნიკაპი. არ ვიცი, საფლავის ქვის ნატეხი იყო ეს უწინდელი ნაქანდაკები, კერპის რამ ნაშთი, თუ ქვაზე ამოჭრილი ხატის ნამტვრევი; მხოლოდ ხალხი დიდ პატივსა ს ემდა მას, მოწიწებით ევედრებოდა და უფრო მეტ სანთელს უნთებდა, სანამ გასპეტაკებულ ხატს, რომელიც იქვე დაფარნაზე დაესვენებინა ხუცესს.

ან რა საჭიროა იმის ძიება, რის ნაშთი იყო ეს ნამტვრევი, როდესაც ხალხის თვალში სწორედ ის იყო კვირაცხოველი—ცხოველი, როდესაც სწორედ ის ნაშთი აგონებ-ახსენებდა ცხოველ მყოფელს არსებას, როდესაც ამ ქვის ნატეხის შემწეობითაც სავსებით სრულდებოდა სამღვთო საქმე?! გახსოვთ, ერთი კაცი კუნძზე ხტომით რომ ადიდებდა დამბადებელს? არა? მომისმინეთ! წმიდანები მიადგნენ ზღვას. ნახეს ერთ კაცს კუნძი დაუდვია და ხან გადახტება ზედ, ხან გადმოხტება. გაუკვირდათ. ჰკითხეს მიზეზი. ღმერთს ვადიდებო, მიუგო. არა გცოდნიაო, უთხრეს; ამოიღეს ხატი, დაუსვენეს, ასწავლეს მამაო ჩვენო და უბძანეს—ეს ლოცვა თქვი ხოლმეო.



ყეენობა.—სურათი ა. შამშინოვისა. ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“.

მერე გაშალეს ზღვაზე ანაფორები, დასხდნენ ზედ და წავიდნენ. მაგრამ კაცს ლოცვა შეეშალა, შიგა და შიგ სიტყვები დაავიწყდა. მაშინვე გაექანა ზღვისაკენ, გაშალა ზედ თავისი ჩოხა და გასრიალდა. წმიდანებს რომ მისწვდა, იმათ განცვიფრებით ჰკითხეს გარჯის მიზეზი და როცა გაიგეს, უთხრეს: წადი, ძმაო, ისევ შენებურად ილოცე: ღმერთს შეუსმენია შენი ვედრება, სასწაულთმოქმედობის შნო მოუნიჭებია შენთვისაო.

ყორესთან რომ მივიდნენ ბიჭები, სიმღერა შესწყვიტეს, ქუდები მოიხადეს და მოწიწებით მიუახლოვდნენ სიწმიდეს. ონისემ სანთელი დაანთო, დაემხო მიწას და ერთ წამს მხურვალედ შეავედრა თავისი თავი ხატს; მერე წამოდგა, თვალი გადაავლო ყორის გარშემო მომდგარ ქალებს და თავმომწონეთ მოიღერა ყელი: იცოდა, გოგოები სურვილით უყურებდნენ ახალგაზდა ფალავანს.

III

ჯერ მზე საშუადღეოზე არ იყო მოსული, როდესაც ეს ამოდენა მლოცავი ისხდა ჯგუფ-ჯგუფად ნიშის გარშემო მდელოზე და ნადიმობდა. ყოველ მხრივ სიმხიარულე ისმოდა, ყველგან კეთილი მოჩანდა. კაცთ აღტაცებული ძახილი საკრავების მწყობრ ხმას ეტოლებოდა, დაირ-ნაღარა, თარ-ჭიანური, ზურნა-დუდუკი ხმას იმაღლებდნენ, ცამდინ აჰქონდათ კაცთ ხადილის ამბავი. ყველა იღიმებოდა, იცინოდა, მღეროდა, ცეკვავდა; ყველა მხიარულობდა ხატის კარს.

ან რატომ არ უნდა ემხიარულნა ქართველს მეუფისას, როდესაც ყოვლად მოწყალეს მიუნიჭებია მისთვის ტურფად შემკული ქვეყანა, როდესაც ამ სოფლადვე სამოთხისებურ წალკოტში დაუმკვიდრებია ის? ქართველს ღვთის კარს მისვლა სასიამოვნოდ მიაჩნია, როგორც ქორწილში წასვლა და ამისთვის საქორწილოდ ირთვება ამ დროს, პირს ღიმი უქრის. რა აქვს მეუფის სახლში დასაღონებელი, რომ ცხვირი ჩამოუშვას? ან როდისა ბძანა ყოვლად კეთილმა—ჩემს კარს ნუ იმხიარულებთო? თუ გიყვარვართ, ნუ დაუშლით ქართველს საყდრის კარს ლხინს! რას გიშლით იმისი მხიარულება? ორიათას წელიწადზედ მეტია, რაც ღვთის ვედრება სამხიარულო საქმეთ მიუჩნევია ქართველს და რად გინდათ ეხლა სამგლოვიარო რამე ჩათვალოს ეს? მაინც რა მიზეზი გვაქვს გავებუტოთ დამბადებელს, ან შიშით ვძრწოდეთ მის წინაშე? მართალია, გვსჯის და ადრეც ბევრჯელ დაუსჯივართ თავსუბუქობისთვის, მაგრამ რა ვუყოთ: მთლად ხომ არ მოუძულებივართ, ზურგი არ შეუქცევია ჩვენთვის. მაშ რა ნება გვაქვს ამისთან ყოვლად შეუძლებელი და მოწყალე მამისას დაღრეჯილი მივიდეთ, თავპირი ჩამოგვტიროდეს მის კარს, ზეთი ჩამოგვდიოდეს?

ხალხი მხიარულობდა და ვისაც როგორ შეეძლო, ისე ადიდებდა შემოქმედს; ვისთვისაც რა ნიჭი მიემადლებინა, იმ ნიჭს იჩენდა, რომ ესიამოვნებინა კეთილთა მომნიჭებელი: დამკვრელი უკრავდა, მელექსე ლექსობდა, მომღერალი მღეროდა, მოცეკვავე ცეკვავდა; მშვენიერები აღარ ჰკრძალავდნენ თავს, მოსდებოდნენ აყვავებულ მინდორს, რომ ყველას ემზირნა მათთვის და მათ გამჩენისათვის მადლი შეეწირნა. თუ კი ყვავილთა სიმშვენივრე გვატკბობს და ცისკენ გვახედებს, ადამიანთა სიკეკლუცე უფრო გულს არ უნდა გვილბობდეს და მადლობის თვალით აგვახედებდეს ზეცისკენ! მაშ სასიამოვნო არ იყო,— კაცისათვისაც და ხატისათვისაც სასიამოვნო,—როდესაც ოსიყმიანთ თებრონია ჩამობზრიალდა და ეშხით აავსო მაყურებლები? ჯეელებმა ნდომით ტუჩები ააცმაცუნეს. ბოქაულმა მკლავები გაშალა, თუმცა კუდა ტალავარზე ლეკური ისე დაუმშვენდა, როგორც......, მოხუცმა მოძღვარმაც ტაში შეაწია, აკურთხა, პირჯვარი გადასახა გოგონას, შუბლზე აკოცა. ვაი, რომ თებრონიას ფაფუკ ფეხს ქუსლიანი ფეხსამოსი ეხამუშებოდა, თორემ ნამდვილად მაშინ ჰნახავდით მის მადლიან ტანის რხევას!

ვისთვისაც მკლავში ძალა მიეცა შემოქმედს, ის თავის ძალას იჩენდა ღვთის კარზე, რომ ყველა ესიამოვნებინა მისდამი მიმადლებული უნარით.



შემახა.—იმამ მეჩეთი და მის ახლო სახლები მიწის ძვრის შემდეგ. ერმაკოვის ფოტ. ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“

IV

საჭიდაო რომ დაუკრეს, ძარღვები ათამაშდნენ; ლაჩარმაც კი იგრძნო ძალთა დუღილი და წელში გაიმართა. ბრძოლა უბრალო მოჭიდავეებმა გამართეს, მაგრამ სხვა-და-სხვა სოფლების გაჯიბრებამ თანდათან თავი იჩინა და ფალავნების რჩევა დაიწყეს. დიდად სიამოვნობდა ხალხი ამ სანახავით. ის კი იყო, მეიდანი არა ჰქონდათ მებრძოლთ, ყველა ზედ აწყდებოდა, თუმცა გზირები სახრეს არა ჰზოგავდნენ მაყურებლების დასაწევად.

— ონისე იხდის, ონისე!—გაისმა ხმა და ხალხს აღელვება დაეტყო.

გზირებმაც ეხლა მეტი ფხა გამოიჩინეს, ადგილი დაატოვებინეს მაყურებლებს. ფარგლის ერთმა კუთხემ იმ სუფრას უწია, საცა ბოქაული და ღვდელი ისხდნენ, ისე რომ ამ საპატიო ხალხს შეეძლო ნადიმი არ შეეწყვიტნა, ისე ემზირნა სეირისთვის. ზურნამ რომ შეუმაღლა, მარჯვნივ მხრიდან ისკუპა ქართლელმა და მოსაწონი ნარა ჰქმნა: ოთხი-ხუთი ასმით შემოუარა ვებერთელა წრეს. ამ მარჯვე ვაჟკაცს რომ შეხედეს, ონისეს საქმე საეჭვოთ ჩასთვალეს. გამოვიდა ონისეც. ფერი სცვლოდა. ქართლელმა დაინახა თუ არა ის, დასჭყივლა, შურდულის ქვასავით გაექანა მისკენ და ისეთი სალმა ჰკრა, მუხას მოამტვრევდა; ონისე გადურჩა, თუმცა ძლიერ შეტოკდა. ახლა მეორე მხრიდან დაეცა ქართლელი, ჰკრა ხელები მხრებზე და მახიური გამოუსვა. ონისე გადიზნიქა, მაგრამ შეიმაგრა თავი: საშინელი ძალა ჰქონდა მუხლში. ეწყინა ქართლელს, გაჯავრდა; ალალივით დაურბინა, ჰსწვდა, მოუკრიფა მარჯვენა მხარეზე ჩოხა, მისცა ბეჭი და მოგლიჯა ვაჟკაცი მიწიდან. ხალხში კვნესასავით გაისმა უცნაური ხმა. ონისე ბეწვზე გადარჩა: დროზე მოჰკრა მარცხენა ხელი იღლიაში და არ გადაჰყვა. ქართლელმა ეხლა კი იგრძნო მოპირდაპირეს მოუხეშავი ძალა და შეკრთა. შეირკინნენ, მკლავები ჩაკეტეს. ონისეს ქვეიდან მოჰყვა მკლავი, მაგრამ არას იმჩნევდა: მაჯის იმედი ჰქონდა. ბევრი ეცადა ქართლელი, ბევრი ხერხი მოაგვარა, ბევრი მახე დაუგო, მაგრამ ფონს ვერ გავიდა. დაიღალა ბიჭი, დაიქანცა. ონისე კი თან-და-თან ფხას იჩენდა, ლომდებოდა. ბოლოს ერთი მედგრად დაიქნია ფალავანი, უგდო მოგვერდი და გადაატრიალა, დასცეს ყიჟინა. აკოცეს. დაასაჩუქრეს, წარუდგინეს ბოქაულს. მოუწონეს სიმძლავრე. მოძღვარმა აკურთხა ფალავანი. მასპინძელმა თასი აუვსო.

— ეს ბიჭი ღირსია, ჩვენმა სუფრის თაიგულმა თავის ხელით მიართოს ღვინო,— ბძანა ბოქაულმა.

— აი სამართლიანი სიტყვა! სწორედ ღირსია ჩვენი ონისე მაგ ჯილდოსი,—დაჰკრა კვერი მოძღვარმა.

ფალავანები რომ გავიდნენ მეიდანზე, თებრონია წამოყელყელავდა და გულის ძგერით დაუწყო ბრძოლას მზერა. როდესაც პირველში ქართლელი მედგრად დაეცა ონისეს და დაძალა, ქალი სულ ათრთოლდა; გულში კვირაცხოველს ეხვეწებოდა, გამარჯვება ონისესათვის მიენიჭებინა. როდესაც შემდეგ ფალავნები შეირკინნენ და ბრძოლა გაგრძელდა, ქალი ჯერ ცალ მუხლზე წამოჯდა, მემრე მთლათ წამოდგა და მზერად გადაიქცა. ქალი ისევ ზეზე იდგა და გამარჯვებულისთვის თვალი ვერ მოეშორებინა, როდესაც სავსე თასი მისცეს ხელში და უბძანეს ფალავნისათვის მიერთმია, აწითლდა, აიტკრიცა გოგო, მაგრამ, მეტი გზა არ იყო, წინ წადგა ფეხი. ბიჭმა ჩამოართვა თასი, ერთი შეხედა აღელვებულ გოგოს და იგრძნო მედგარი ძალა, რომელიც ელვასავით გამოკრთა ქალის თვალებიდან, შანთივით დაესვა იმის გულს..... დაძალა შვინდიანის სამფსონი ღელვნარელმა დალიამ, დაიმონა.

ვ. ბარნოვი

(დასასრული იქნება)

# გასართობი

ჩინელების ხაზინა ძალიან შევიწროებულია; არეულობამ და ომმა სრულიად გაალარიბეს და დაასუსტეს ჩინელთა ფინანსები. ამიტომ ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწენი ახლა იმის ცდაში არიან, რამე ნაირად შეავსონ ხაზინა. სხვა პროექტებს შორის ერთი შესანიშნავი ხერხი თვით ქვრივ დედოფალს მოუგონია და კიდევაც განუხორციელებია ჩინებულად. ოქტომბრის დამდეგს დედოფალს გამოუცია ბრძანება, რომ 30 ოქტომბრის შემდეგ მანდარინის ჩინს ვეღარავინ იყიდის და ვისაც უნდა მანდარინობა მანამდის უნდა იზრუნოსო. გენერალ-გუბერნატორებს სასტიკი ბრძანება მიეცა თვალ-ყური ადევნონ ამ განკარგულების ბეჯითად შესრულებას. ამ ხერხმა შესანიშნავად იმოქმედა. ჩინის მოყვარე ჩინელები გაფაციცებით შეუდგნენ მანდა-

რინობის ხარისხის შეძენას და ვისაც ცოტაოდენი გროში ჰქონდა შენახული, ყველამ დაიჩქარა ჩინის შეძენა. ამ რიგად ხაზინას შემოუვიდა ერთ თვეში 40 მილიონ მანეთზე მეტი. რასაკვირველია, რამდენიმე თვის შემდეგ ხსენებული ბრძანება გაუქმებულ იქმნა, რაკი მიზანს მიაღწიეს.

**ყეენობა.** სურათი მამმინოვისა. ვის არ ახსოვს ყეენობა? დიდმარხვის პირველი ორშაბათი სახსოვარი დღეა საქართველოს მკვიდრთათვის, რადგან ამ დღეს 1634 წელს, საქართველოს მცხოვრებლებმა განთავისუფლეს თავი მონობიდან, აუტანელ ხარჯისაგან, რბევისგან, ჯაშუშობისა და ბეზღებისაგან, დაამარცხეს მჩაგვრელნი. დატყვევებული ქერჩი-ხანი, შაჰის წარმომადგენელი, შესვეს ვირზე (ზოგიერთის გადმოცემით—აქლემზე), წაუსვეს მური და ქუჩა ქუჩა დაჰყვანდათ თავიანთი დამწვარი გულის გასაქარვებლად. ამ დღეს იგონებენ განურჩევლად როგორც ქართველნი, აგრეთვე სომეხნი.

## ბათუმის ინციდენტი



— აბა ბიჭებო, დავკრათ კვერი, გავაღვიოთ ნაპერწკალი და იქნება რასმეს გავხდეთ!....

— ამას კი არ მოველოდით!...

## ტფილისის ტრამვაი



**კონდუკტორი.** შებძანდით ვაგონში, აქ ადგილი არ გახლავთ, ვაგონიკი ცარიელია, წვიმაც გასველებთ.

**ხმოსანნი.** (წევრნი ელექტრონის ტრამვაის პროექტის გამხილველ კომისიისა) ვაგონში რა გვინდა, იქ ბული დგას, ცხელა, რატომ ღია ვაგონები არ დაგვყავთ.

**კონდუკტორი.** ბატონო, თქვენ თვითონ არ თხოულობდით დახურულ ვაგონების მომატებას? მაშინ რატომ არ იფიქრეთ ამ სიცხეზე.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Марта 1902 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.